შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 21. **ქვიტა, 18 ივნისი, 1906 წ.** **გაზეთის № 61**

მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

VII

თავისუფლება ან სიკვდილი!

მთელ ღამეს ზარბაზანი მეზმანებოდა. დილით პასკალი ენახე თავის თავლის კარებში. მივუახლოვდი, მინდოდა მეკითხნა: გაისროლა ზარბაზანმა თუ არა, მაგრამ ვერა ვბედავდი. იმან-კი ვერ შემამჩნია. ალბად იმისი ფიქრები იმ წამს შორს ფრინავდა: ან ეგვიპტეს ქვიშიან ადგილებში, ან სარგოსას.

როგორც-კი საღამომ მოატანა, ავაჩქარე სანათის ანთება და მივუტანე პაპას, მაგრამ იმან შემაცდევინა. ჩავიდა სარდაფში და ამოიტანა ერთი ბოთლი ძველი ღვინო.

— ამალამ მარტინის შემწვარ წაბლზე ეს ღვინო შევსვათ და უფრო მხიარულად ჩაივლის საღამო.

როცა კარებში შევდიოდით, მეჩექმის ცოლის ხმა მოგვესმა:

— მოიცა, პასკალ, ნუ დაიწყებ შენს ამბავს, ბარემ წაბლი მოვხალო.

— კარგი, კარგი, ნუ გეშინიან, სანამ წაბლს მაგიდაზე არ დასდგამ, არას ვიტყვი.

დიდხანს არ გვალოდინა, საჩქაროთ ვეებერთელა სინით მოხალული წაბლი შემოიტანა, გვერდითაც პაპას მოტანილი ღვინო მოუდგეს.

— ახლა კი დავიწყოთ,—სთქვა პასკალმა და განაგრძო:— როგორცა ვთქვი, ჩვენ სამნი მივედით გვარდიელებთან, რომელნიც გზაზედ გადაგვეღობნენ. პირველსავე დალაპარაკებაზე აღმოჩნდა, რომ ისინი ხალხის მეგობრები იყვნენ.

— თუ პატრიოტები ხართ,—უთხრა მორგანმა,—საქმით დაამტკიცეთ: თქვენი ქუდები ჩვენ მოგვეცით და ჩვენი წითელი ქუდები თქვენ დაიხურეთ. ეხლავ ახალ ხიდთან მივირბენთ და სამშობლოს დავიხსნით.

მეთ მაშინვე აასრულეს მორგანის თხოვნა:

გოლგოთა.—სურათი დინისა.

მართლაც იმ დღეს წმინდა მარტინის დღე იყო და ყველგან ვახშმად წაბლსა ხალამდნენ.

მე და პელლუ ვერ მივხვდით მორგანის განზრახვას და თითონ აგვიხსნა.

— აბა, თუ კარგი ფედერალისტები ხართ და ნამდვილი

) იხილე დამატება № 20.



ᲒᲐᲓᲒᲘᲛᲔᲑᲐ.—ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲔᲓᲐᲔᲙ, ᲑᲐᲛᲘᲛᲓᲔᲠᲘᲡᲐ.

მარსელელები, მე გამომყევით. ჩვენ წავიდეთ ახალ ხიდზე, იქ ან დავიხოცნეთ, ან ზარბაზანი გავისროლოთ. შენ, პელლუ, კარგი პატრუქი წამოიღე, შენ კი, პასკალ, კაჟი. როცა მე იმათ უფროსს ლაპარაკს დავუწყებ, თქვენ ზარბაზანი გაისროლეთ.

ახლა კი მივხვდით, რაშიაც იყო საქმე და დავემორჩილეთ ამხანაგის განკარგულებას. რამდენისამე წამის შემდეგ მივედით ახალ ხიდთან.

— ვინ მოდის?

— მეგობრები, —უპასუხა მორგანმა, —ბრძანება მოვიტანეთ უფროსისა წმ. მიხეილის ხიდიდან.

— გაიარეთ.

ახალი ხიდი დინჯად გავიარეთ. რაკი ჯარმა ჩვენი ქუდები დაინახა, ყურადღება აღარ მოგვაქცია. შუა ხიდზედ ზარბაზანი იდგა, ლულა მდინარისკენ ჰქონდა მიბრუნებული. მორგანი მივიდა თოფჩებთან.

—„წინ წადექით! ყური უგდეთ უფროსის ბრძანებას!

ისინი წინ წადგნენ, მორგანმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და დაიწყო რიღაკის კითხვა. ამასობაში ჩვენ ზარბაზანთან მივედით, მე ცეცხლი დავაკვესე, პელლუმ პატრუქი აანთო და, ერთის წამის შემდეგ, ზარბაზანმა დიგრიალა. იმავე დროს ყველა სამრეკლოზე ზარები დაირეკა, წმ. მიხეილის ხიდზე ბუკი დაჰკრეს, ჩვენმა ამხანაგებმა ხმა ამაღლა დაჰღერეს:

„წინ კასწით მამულის შეიდნა,
დდე დიგვიდგა დიდების!..

ამით არ გათავდა ჩვენი საქმე. ანტი-პატრიოტების უფროსმა მოირბინა და გაბრაზებულმა იკითხა:

— ვინ გაბედა ზარბაზნის გასროლა?

სამივენი მივცვივდით დამბაჩებით და დავიძახეთ:

— გაუმარჯოს ეროვნებას! —გაიმეორეს თოფჩებმა, ესენიც პატრიოტები იყვნენ.

უფროსი გაფითრდა, გადაჰხედა თავის ბატალიონს და რაღაც ბძანება წაიბუტბუტა, მაგრამ ჯარი თავზარ დაცემული იდგა, რადგან მთელი ხიდი ახლად მოსულმა სენ-მარროს პატრიოტების ბატალიონმა დაიჭირა.

მე, მორგანი და პელლუ მაშინვე მარსელელებთან მივედით წმ. მიხეილის ხიდზე, იქ ვუცდიდით სხვა უბნებიდან პატრიოტების ბატალიონებს.

ამ დროს გაღმა არეულობა მოხდა, მიზეზი არ ვიცოდით, მერე გამოირკვა, რომ ოცდაათი პატრიოტი მოაორევდა გენერალ მანდატის გვამს, ბარბარუს მიერ გაგზავნილ პატრიოტს მოეკლა ეს მოღალატე გენერალი.

— თავისუფლება ან სიკვდილი! — ისმოდა ყოველს მხრიდან და, წამის შემდეგ, გვამი წყალში გადაგდეს.

მომავალ ბატალიონების ბუკის ხმა გავიგონეთ. მუასსონმა ხმალი ამოიღო და გვიბრძანა წასვლა.

საჩქაროდ წავედით, გვინდოდა ყველაზე ადრე მივსულიყავით სასახლესთან.

საშინელი ღრიანცელი და არეულობა იყო სანტ-ონერეს კუჩაში. ბუკის ხმა შეუჩერებლად ისმოდა; ჩვენ მარსელიეზას ვმღეროდით, სხვები კარმანიოლას. ქარივით მივქროდით არისტოკრატების უბანში. დრო და დრო ზემო სართულში სარკმლები იღებოდა: იქიდან თოფებს გვესროდენ.

— არა გვიშავს! —ღრიალებდა სამატი და თავის დროშას მაღლა აფრიალებდა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ —გვამშვიდებდა მორგანი, — დაიცადონ, ხვალ ვუჩვენებთ მაგათ თამაშს!

ახლა მარჯვნივ და მარცხნივ დამბაჩები და ქვები დაგვიშინეს. ჩვენ მაინც არ შევჩერდით, უფრო ვუმატეთ ნაბიჯს და, დიდის აღტაცებით ვმღეროდით: „შეარაღდით მოქალაქენო“!...

კარუსელის მოედანზე მიველით. ეს ადგილი დაჭერილი იყო ჟანდარმებით, გრენადერებით და სხვა სალდათებით. ჩვენს დანახვაზე შეკრთნენ და სასახლის გალავნისაკენ მიიწიეს. კიდევ ერთი წამიც და ეზოში შეცვივდნენ.

ამრიგად, უბრძოლველად დავიჭირეთ კარუსელის მოედანი.

ჩვენი ბატალიონი ყველაზე წინ იდგა, ჩვენ წინ სასახლე იყო, ხოლო ჩვენს და მის შორის სამი ეზო: მარჯვნივ —ჰრინცებისა, შუაში—მეფისა და მარცხნივ —შვეიცარლებისა.

თენდებოდა, ოდნავ შევამჩნიეთ სარკმლები ფიცრებით და ლეიბით აფარებული ტყვიის ასაცდენად, ზოგიერი გამოღებული იყო თოფის სასროლად. ბუკის ხმა თან-და-თან გახშირდა. პატრიოტების ბატალიონები თან-და-თან ემატებოდნენ, ამათთან ბრესტის ფედერალისტებიც მოვიღნენ. ყველანი ერთად იძახდნენ: „თავისუფლება ან სიკვდილი!... გაუმარჯოს ეროვნებას!“

როგორც კი მზე ამოვიდა, ჩვენი უფროსი მუასსონი მივიდა მეფის ეზოს კარებთან, სამჯერ დაჰკრა თავის ხმლით და დაუძახა:

— კარი გააღეთ, გიბრძანებთ ხალხისა და რევოლუციის სახელით!

არავინ ხმა არ გასცა. მაშინ მე მომმართა:

— აბა, პასკალ, ამ კედელთან რომ ალუბლის ხე იდგეს, შენ ხომ ეცდებოდი კაი მწიფე ალუბლები დაგეკრიფა?

— მესმის, —მივუგე მე, —გადავიგდე მხარზე თოფი, კატასავით სწრაფად ავხტი და ზედ კარების თავზე დავსუბდი.

— ახლა?

— სთქვი, რას ჰხედავ კედელს იქით?

— ოჰ, სროლა რომ შემეძლოს სულ კუდით ქვას ვასროლინებდი. ჩვენი მტრები მირბიან.

— არ ისროლო, არა.

— გვიანღაა: სულ დაიმალნენ ჟანდარმებიც, გრენადერებიც და შვეიცარლებიც. მხოლოდ შესავალში ერთი კაცი უჭ, სულ ოქროში ზის, ეს, ალბად, მეფე იქნება.

— სულელო, ეგ კარის კაცია.

— მართლა! ეჰ, სულ ერთია, დაიცადეთ, ახლავ კარებს გაგიღებთ.

საჩქაროდ გადავხტი, უცბად კარების ორივე ურდული გამოვიღე და გავაღე.

მუასონმა მარსელელთა ბატალიონით პირველმა შესდგა ფეხი კობლენის მიწაზე, —ასე ეძახდნენ მაშინ მეფის სასახლეს! ამავე დროს სხვებმაც დაიჭირეს სეფეების და შვეიცარლების ეზოები.

მეფე და დედოფალი ამ დროს ბაღში გარბოდნენ, მაგრამ სასახლის შესავალში თოთხმეტი ზარბაზანი იდგა ჩვენკენ დამიზნებული. უკან იდგნენ ქანდარმები, გრენადერები და სალდათები. შვეიცარლებს წითელის მუნდრებით ხორხორი გაჰქონდათ შესავალში და კიბეებზედ; აივნებსა და სარკმლებში არისტოკრატები სჩანდნენ თოფებით და დამბაჩებით.

ათი ათასამდე მაინც იქნებოდა. ყველა ამათ უნდა შეებრძოლოდით.

ზოგიერთმა თოფჩებმა რომ დაგვინახეს, დაიყვირეს:

— გაუმარჯოს ეროვნებას!

ნრავალმა შვეიცარლებმა თავისი ტყვიები გადმოგვიყარა იმის ნიშნად, რომ ჩვენ ჯარს არ ესროდა.

ჩვენ დანდობილ მივედით ახლოს, გვეკონა —უბრძოლველად გათავდებოდა ყველაფერი. იმ დროს, როცა ზოგი ჩვენგანი ტყვიის ასაკრეფად დაიკუზა, ხოლო ზოგი მიესალმა ახალ მეგობრებს, სარკმლებიდან წვიმასავით წამოვიდა ტყვია შვიდი მოგვიკლეს და ოცი დაგვიჭრეს ერთს წამში. მუასონს ორივე ფეხი დიჭრილი ჰქონდა, მაგრამ მაინც დაიძახა: „გაუმარჯოს ეროვნებას“ და დაეცა.

ჩვენ ცოტა უკან დავიწიეთ, დავუმიზნეთ თოფები, და როგორც გვანიშნეს, ვესროლეთ ქანდარმებს და გრენადერებს, იქაურობა საჩქაროდ გაივსო იმათის გვამებით. არისტოკრატები ყოველის მხრიდან გვესროდენ. განუწყვეტლად ტყვიის ზუზუნი ისმოდა, ხალხი ცვივოდა გულგანგმირული, ფეხ ან ხელ მოკვეთილი.

— ოჰ, საწყალო პასკალ,—ვეუბნებოდი ჩემს თავს, —თუ დღეს გადარჩი, თავის დღეში აღარ მოკვდები!

— ჩემს გვერდით სამატი იდგა, უცბათ მოჰხვდა ტყვია და მკვდარი დაეცა. პირველ წამს ჩემ თავს ანგარში ვერ მივეცი, რა მოხდა, მეგონა—მე თვითონ ვიყავ დაჭრილი. მერე დავინახე სამატის გასისხლიანებული თავი გულ დაწყვეტილმა მივათრიე იმის გვამი კედელთან! წამოვიტაცე თოფი და სროლა დავიწყე უფიქრელად. გარს საშინელი ბოლი იდგა, თვალებს მიბამდა და სულს მიხუთავდა.

მეტი ნაწილი ჩვენის ტყვიისა კედლებს ჰხვდებოდა, მტრის ტყვიას კი უეჭველად მსხვერპლი მოჰქონდა. დაჭრილთა და მომაკვდავთა გმინვა-კვნესა და დაფ-დაფის ხმა ერთმანეთში ირეოდა, ერთი ფედერალისტი დაჭრილი ეგდო მიწაზე, მტაცა ფეხში ხელი და დამიყვირა:

— მომკალი! აღარ შემიძლიან, აუტანელი ცეცხლი მეკიდება.

საშინელი ჭრილობა ჰქონდა; ტყვია გვერდში მოხვედროდა და მუცელში გაეფლო. ძლივს დავაღწიე თავი.

— ბოლი გათხელდა, მაღლა ავიხედე და ერთ სარკმელში დავინახე გრაფი რობერი, რომელიც დაუღალავად გვესროდა. უკან სურტო ედგა და შეუწყვეტელად აწვდიდა ტყვიას. მოიცადე, მამიჩემის მკვლელო, მეკგაგიწევ ანგარიშსა-მეთქი,—გავიფიქრე გულში და დავუმიზნე. მინდოდა შიგ თავში მესროლა, მაგრამ უცბათ თვალწინ წარმომიდგა ადელინა, მე შევპირდი, იმის ძმის სიცოცხლე დამეფარა, მიგრამ სურტოს სიცოცხლეს ხომ არავის შევპირებივარ. დავუმიზნე თოფი და ველოდი დამენახა, მაგრამ ის სულ გრაფს უკან იყო ამოფარებული და ისევ ტყვიას აწვდიდა.

— ოჰ, ეს რა მოხდა? რობერი რომ ხალხს ... თოფს, სურტომ უჩუმრად მიადო თოფის ტუჩი კეფაზე, დაიგრიალა თოფმა, და რობერი მკვდარი დაეცა სარკმლის ფიცარზე, სურტო კი გაიქცა.

— თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამეხვა და თავზე ხელი მოვისვი, სიზმარში ხომ არა ვარ-მეთქი. ჯერ გონს არ მოვსულიყავ, რომ გაისმა საშინელი ჭახანი: კარტეჩით გატენილი ზარბაზანა გვესროლეს, ჩემს გარშემო ბოლი დატრიალდა და მკვდრებით და დაჭრილებით აივსო. ფედერალისტები შეკრთნენ და უკან დაიწიეს. დავიღუპენით! არისტოკრატებმა რომ შეამჩნიეს ჩვენი შეფერხება, მორთეს ღრიალი:

— გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს დედოფალს!

კაპიტანი გარნიე, რომელიც ახლა უფროსობდა მარსელელ ბატალიონს, არ დაძრულა, ხმალი აიქნია და დაგვიძახა:

— ჩემთან მარსელელნო! თავისუფლება ან სიკვდილი!

— ამავე დროს პელლუს ხმა გავიგონეთ:

— გზა მიეცით არტილერიას! მარსელელო პატრიოტნო, არ შეგაშინონთ პარიზელმა არისტოკრატებმა, აი მიყურეთ, რა სიცხე ვაჩვენო მე მაგათ!

ამ ორი კაცის სიტყვებმა და მაგალითმა შეგვაყენა. გვამები მივწი-მოვწიეთ, ზარბაზნები შევათრიეთ და დავდეთ შესავალ კარის პირდაპირ. სისახლიდან მაინც გვესროდნენ, პელლუ ყურადღებას არ აქცევდა, გულგრილად, დამშვიდებით ემზადებოდა, მოუკიდა პატრუქს და, სანამ გავარდებოდა, ქუდი

კალმახის ტბა.—სურათი სტანგონისა.

მოიხადა. ზარბაზანმა დაიგრიალა და ახლა ჩვენ შევძახეთ „გაუმარჯოს ეროვნებასა“-ო.

როცა ბოლი გათხელდა, დავინახე შესავალი კარე... მთლად დამსხვრეული, დედამაწა ჩვენი მტრის გვამებით სავ...

ვინც კი გადარჩა, დამფრთხალი მირბოდა კიბეებზე, ბაღსა და სარდაფებში.

— ჰე! მოგხვდათ!—დაუძახა პელლუმ:—დამაცადეთ, გიჩვენებთ მე თქვენ სეირს! ფეხის გულებს გაუფთხილდით!..

—დაიგრიალა მეორედ ზარბაზანმა და აივსო იქაურობა თეთრ, წითელ, ლურჯ და მწვანე მუნდირებში გამოწყობილ გვამებით.

დამარცხდნენ არისტოკრატები, აღარ იცოდნენ, საით გაქცეულიყვნენ. ჩვენი დაფ-დაფი ისევ დაჰკრეს, კაპიტანი გარნიე მარსელელებით სასახლის კიბეზე ავარდა.

— აბა, ბიჭებო!—დაიყვირა მორგანმა:—ახლა ხიშტები შეათამაშეთ!

საშინელი სისხლის ღვრა დაიწყო. ყოველ საფეხურზე იდგნენ შვეიცარლები და გრენადერები თოფებით და შეუჩერებლად ისროდნენ. ჩვენ მაინც მამაცად ვარღვევდით გზას ხიშტებით, ხმლებით და კონდახებით.

პელლუმ დაგვიძახა:

— მოიცადეთ, აქ ძვირფასი სამკალი იქნება,—სთქვა და ორი ყუმბარა გადისროლა წითელ მუნდრიან შვეიცარლების ჯგუფში.

გასქდა ყუმბარა და მომაკვდავთა და დაჭრილთა საშინელმა გმინვამ მოჰფინა ჰაერი, სარკმლის შუშებს ტკაცატკუცი გაჰქონდა და ყველა ამას უერთდებოდა ჩვენი სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს ეროვნებას!..

მტერმა გონება დაჰკარგა: ჰგონიათ, რომ ფეხქვეშ კიბეები ენგრევათ, სასოწარკვეთილთ აუწერელი ალიაქოთი ასტეხეს, ზოგი პირდაპირ ჩვენ ხიშტებზე აეგო, ზოგი აივნის მოაჯირიდან ძირს გადაცვივდა. ზოგნი კი ლომივით იბრძოდნენ და სასიკვდილოდ განგმირულნი იძახდნენ:

— გაუმარჯოს მეფეს!.. გაუმარჯოს დედოფალს!..

ჩვენ დაუღალავად ვიბრძვით. კაცის სიცოცხლე აღარად მიგვაჩნია: ხალხი გზას გვიღობავდა, ჩვენ იმათ ვკაფავდით: პირველ სართულში ავედით.

საუბედუროდ, რამდენიც მეტსა ვხოცავდით, იმდენი მეტი ჩნდებოდა ახალ-ახალი მტერი. ქისხლი ღვარივით ბიდიოდა კიბეებზე. თავით ფეხამდე სისხლში ვიყავით ამოსვრილნი ხელები გველალებოდა, თითები გვეკრუჩხებოდა, ჩემი ხიშტი მოიკაკვა.

ჩვენ ბედზე პილლუმ კიდევ გადისროლა ორი ყუმბარა. არისტოკრატებმა სულ თავვის სოროები მონახეს. უკან გამოვეკიდეთ. ორი საათის განმავლობაში ასე ვდევდით და ვყლეტდით სასახლის ოთახებში, ბანზე და სარდაფში. ვერსად დაგვემალნენ, ყველგან ვპოულობდით—საწოლებ ქვეშ, განჯინებში, ბუხრებში, ზანდუკებში. შვეიცარელს, საცოდავ ჯარის კაცთ, და გვარდიელებს სიცოცხლე შეგვარჩინეთ.

— თქვენ ისეთივე შვილნი ხართ ხალხისა, როგორც ჩვენ!—ვეუბნეოდით ყველანი:—წადით თქვენ ბინებზედ და დაიძახეთ: გაუმარჯოს ეროვნებას. ამის შემდეგ უკეთესი პატრიოტობა გამოიჩინეთ!

მაგრამ გრაფებს, მარკიზებს და მდიდარ ბურჟუებს ჩვენგან შეწყალება არა ჰქონდათ.

— აბრეშუმის ჩულქებში გამოწყობილნო, პარიკებით შემკულნო! ეს საუზმედ მოგვირთმევია,—ვეუბნეოდით და ვხოცავდით.

ჩვენ გვეგონა, ეს არის გათავდა ეს საშინელებაო, როდესაც ძოულოდნელად დავინახეთ დაკეტილი კარი და მის წინ მოხუცი არისტოკრატი, რომელიც გვიყვიროდა: გზა არ არისო.

ამ სიტყვებთან დამბაჩაც გვესროლა და ტყვია მორგანის ქუდს მოჰხვდა. მორგანი-კი ის იყო გვემუდარებოდა: ეს მამაცი მოხუცი არ მოჰკლათო. მზა ვიყავით შუახედ გაგვეგლიჯა ეს მოხუცი, მაგრამ მორგანს გავუგონეთ და განვთავისუფლეთ. ის რომ მოვიშორეთ თავიდან, კარი შევამტვრიეთ და მდიდრულად შემკულ ოთახში დავინახეთ სამი ხანში შესრული სასახლის ქალი და მეოთხეც ახალგაზდა. ოთხივენი ძვირფასად იყვნენ მორთულნი. დაგვიჩოქეს და შემოგვტირეს. ერთმა იმათგანმა ყელი მოიტიტვლა და გვითხრა:

— აი, თუ მსხვერპლი გინდათ—მომკალით! ოღონდ ჩემი ქალი შეიწყალეთ.

სიბრალულმა მოიცვა ჩვენი გული, აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ამ დროს გარნიე მოვიდა და უთხრა:

— კარგი, კარგი, თქვენ საზიზღარნო, გეყოფათ ღრიალი, ხალხმა სიცოცხლე გაჩუქათ.

უბრძანა ჯარის კაცთ სახლიდან გაეყვანათ ეს ქალები.

ახლა კი ყველაფერი გათავდა. შუა დღე დაჰკრა საათმა. სარკმლებში არც ერთი მინა არ დარჩა მთელი, კარებები ჩამოღებული იყო ანჯამებიდან. ავეჯი დამტვრეული, ფარდები დაფლეთილი, ყველგან სისხლის ღვარი იდგა და გვამები ეყარა.

ედვენ ენ(ოზოვსკისა.

(შემდეგი იქნება.)

ჩხრეკა ტრამვაის ვაგონში.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რცხილაძე.